ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N22

2016 წლის 28 მარტი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №218 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 მარტის N01/2090 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №218 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამაში“ თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ამოქმედდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 მარტის №07 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის მუნიციპალური
პროგრამა

1. **პროგრამის სახელწოდება:**

<u>სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა</u>

2. **პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე;

3. **პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:**

საანგარიშო წლის ბიუჯეტი:

1 211 570 (მილიონ ორასთერთმეტიათას ხუთასსამოცდაათი) ლარი

4. **პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ძირითადი _ აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმორიცხული სპეციალური ტრანსფერი1 137 933 ლარი;

დამატებითი _ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა 73 637 ლარი;

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახური.

6. **პროგრამის აღწერა და მისი აქტუალურობის დასაბუთება:**

2012 წლის 23 და 26 დეკემბერს საქართველოში, კერძოდ შავი ზღვის ზონაში დაფიქსირდა ძლიერი მიწისძვრა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწისქვეშა ბიძგების ზემოქმედების შედეგად შედეგად დაზარალებული იყო: ა) 140 ოჯახი, რომელთა საცხოვრებელი სახლი ექვემდებარებოდა აღდგენას. ბ) 28 ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი არ ექვემდებარებოდა აღდგენას და გ) 12 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

2015 წელს გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის მიერ განმეორებით იქნა შესწავლილი 2012 წლის მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი სახლები. დაზუსტებულ იქნა იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთაც დღეის მდგომარეობით არ ააქვთ აღმოფხვრილი მათ საცხოვრებელ სახლებზე მიწისძვრით მიყენებული ზიანი და შედგენილია მათი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა-გამაგრებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა. კერძოდ,

ა) 140 ოჯახიდან 2 ოჯახს სახლის გამაგრებისათვის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო თანხა, ხოლო 4 ოჯახი მეწყრული პროცესის განვითარების გამო დაემატა ეკომიგრანტთა სიას.

ბ) 28 ოჯახიდან, რომლის საცხოვრებელი სახლი არ ექვემდებარებოდა აღდგენას, დაკმაყოფილდა 10 ოჯახი, ხოლო 4 ოჯახი მეწყრული პროცესის განვითარების გამო დაემატა ეკომიგრანტთა სიას.

გ) 12 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან 11 მრავალბინიანი სახლი ექვემდებარება აღდგენას, ხოლო 1 ყოფილი კვირიკეს მეურნეობის საერთო საცხოვრებელი სახლი N1 (11 ოჯახი) არ ექვემდებარება აღდგენას. მათი დაკმაყოფილება დაგეგმილია კვირიკეს მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაში, რომლის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის შემეენილია საპროექტო დოკუმენტაცია.

2012 წლის მიწისძვრით დაზარალებულმა ოჯახებმა მწირი შემოსავლების გამო, საკუთარი სახსრებით ვერ შეძლეს მიწისქვეშა ბიძგების გამო ამორტიზირებული და დანგრეული სახლების აღდგენა-გამაგრება. შესაძლებელია ასეთი ამორტიზირებული სახლები დაინგრეს და ოჯახი თავშესაფრის გარეშე დარჩეს, შესაძლებელია ვიღაცის სიცოცხლეც კი შეიწიროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა წინამდებარე პროგრამა.

7. პროგრამის მიზნები მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

N	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2012 წლის მიწისძვრით დაზარალებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა- გამაგრება	მოსარგებლე პირთა რაოდენობა
2	2012 წლის მიწისძვრით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	კმაყოფილების დონე

8. სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

#	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2012 წლის მიწისძვრით დაზარალებული 134 ოჯახისთვის, რომელთა საცხოვრებელი სახლები ექვემდებარება აღდგენას, თანხის გაცემა ფულადი ფორმით.			X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	2012 წლის მიწისძვრით დაზარალებული 14 ოჯახისთვის, რომელთა საცხოვრებელი სახლები არ ექვემდებარება აღდგენას, თანხის გაცემა ფულადი ფორმით.			X	X	X	X	X	X	X	X	X	X
3	2012 წლის მიწისძვრით დაზარალებული 11 მრავალბინიანი სახლის მაცხოვრებლებისათვის, რომელთა საცხოვრებელი სახლები ექვემდებარება აღდგენას, მრავალბინიანი სახლის აღსადგენად მომსახურების შესყიდვა.			X	X	X	X	X	X	X	X	X	X
4	2012წლის მიწისძვრით დაზარალებული კვირიკეს მეურნეობის საერთო საცხოვრებელი სახლი N1 მაცხოვრებლებისათვის (11 ოჯახი), რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას, მრავალბინიანი სახლის მშენებლობის მიზნით მომსახურების შესყიდვა.			X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამის მომსახურეობით ისარგებლებს 2012 წლის მიწისძვრით დაზარალებული ოჯახები.

10. პროგრამის ბიუჯეტი:

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

N	წყაროს დასახელება		2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	სულ
	ძირითადი	აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმორიცხული სპეციალური ტრანსფერი	1 137 933			1 137 933
	დამატებითი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	73 637	0	0	73 637
	სულ		1 211 570			1 211 570

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიების მიხედვით

N	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალური გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
2016 წელი				
სულ საქონელი და მომხმარებელი				
სოციალური უზრუნველყოფა				
1	2012წლის მიწისძვრით დაზარალებული 134 ოჯახისთვის, რომელთა საცხოვრებელი სახლები ექვემდებარება აღდგენას, თანხის გაცემა ფულადი ფორმით.	ოჯახი	134	286 513
2	2012წლის მიწისძვრით დაზარალებული 14 ოჯახისთვის, რომელთა საცხოვრებელი სახლები არ ექვემდებარება აღდგენას, თანხის გაცემა ფულადი ფორმით.	ოჯახი	14	392 000
3	2012 წლის მიწისძვრით დაზარალებული 11 მრავალბინიანი სახლის მაცხოვრებლებისათვის, რომელთა საცხოვრებელი სახლები ექვემდებარება აღდგენას, მრავალბინიანი სახლის აღსადგენად მომსახურების შესყიდვა.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	11	148,434
4	2012 წლის მიწისძვრით დაზარალებული კვირიკეს მეურნეობის საერთო საცხოვრებელი სახლი N1 მაცხოვრებლებისათვის (11 ოჯახი), რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას, მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის მომსახურების შესყიდვა.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	1	384 623
სულ სოციალური უზრუნველყოფა				1 211 570

11) საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შესყიდვები:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები განხორციელება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

12) დამატებითი ინფორმაცია:

ა) პროგრამაში ეკონომიის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია გარდა 2012 წლის მიწისძვრით დაზარალებული ოჯახებისა დახმარება გაეწიოს სტიქიით დაზარალებულ სხვა ოჯახებსაც.

ბ) ფულადი ფორმით თანხის გაცემისას მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტი:

1. ოჯახის წევრების მიერ უფლებამოსილ პირზე გაცემული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა;
2. უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უფლებამოსილი პირის საბანკო რეკვიზიტები;